

კაჟა ეტჳისელო

კოლხური
ფსალმუნები

100-ტომეული




გამომცემლობა „ანკვარსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად


2020



საქართველოს მწიბრალთა, მცენიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

ტომი 81

2020



მთ. რედაქტორი

ზურაბ პაპასკირი

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაინის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-888-5 (81 ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფილორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთომეხუთი – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთომეხუთის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს გწერალთა, მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს გწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესკანის მედლისა და „დიოსკურია 2005“-ის, მწვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს გწერალთა მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზიდი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტბავრდიანი ტომეულების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდის ხუთასზე მეტბავრდიანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეგი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბულია დასაბეჭდავ ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგიური, აბრეთვე, პრეზიდისაღმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საჯოგადო მოღვაწეების (ათასაგვე ავტორი) წიგნების (მონობრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მმცხრე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





პოეტის ასტრომული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, დემეტრი არ მიუყვანს რომ ვეზა-დარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონას, რომ ახანჯარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინანი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არსის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, კელაზგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომული დაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათთხემეტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნდალული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუპეითბია.

100-ტომეული... ძველის ბაჩენის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დღემდე...
კოსმოსში კი...
დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგელეჟაი მიწვლია... მათ იცინან იმ ოქმება დღემდევის ისტორია“.

ბულნაზ ხარაიჭვილი

პოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი,
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი



„ბულცოვად ვხვდები ყოველ ძეგას, ყოველ კაბეგას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბიერ

(გაგრძელება)

ჭაბუკმა ოცნებაში გადახედა ბობოქარ ხობის წყალს და ნახა როგორ მოუცურავდა იმ ლამაზი არსების ლანდი... უნდოდა გადამტარიყო მდინარეში, დასწეოდა და ენახა, მაგრამ... ვიღაცამ ჩასძახა, ხელითაც შეეხო, შეაჩერა და ირონიულად უთხრა:

„იმედი ჰყვავის და ჯერ ადრეა,
შუბლს ნუ შეუშვებ ფიქრთა
შადრევანს...“

ეს ალბათ მისი ცრემლებია, თქვა და გადაიკისკისა.

– ვინა ხარ, რა უფლებით არ მიშვებ...

ყმაწვილს ისევ ქალის ირონიული სიცილი მოესმა.



– ცისა და ზღვის მპყრობელი ხომ არ გგონია შენი თავი ასე რიხიანად რომ ხარხარებ?!.

– შენ გგონია, რომ ამოდ ვეძებ ჩემი გემის ჩაძირულ ღუზას?

– არ მაინტერესებს, რამ ჩაძირა შენი გემი.

– გემი, შენ ჩაძირე და სულში ძლიერი ცეცხლი დამინთე, ახლა გინდა წახვიდე? არ გამოგივა – იყო მკაცრად ნათქვამი.

– ვინა ხარ, განმეორებით გეკითხები, თავს რომ ამდენის უფლებას აძლევ?

– გვიმრა ვარ... შენი გვიმრა, გესმის!..

– გვიმრა?! – გაიმეორა ჭაბუკმა გაკვირვებით.

– ჰო, ჰო, გვიმრა... თქმა იყო და აშრიალდა გვიმრა, მოედო ხელზე, გულის არეში, ლოყაზე... თითქმის მთელ ტანზე.

– ღმერთო, რა ხდება?

– ისეთი არაფერი, გეფერები.

– ჭაბუკმა ხელით სცადა გვიმრის ფოთლების მოშორება, თან თბილად მიმმართა:

„სალოცავი იყავი და

დაჩიავდი, გვიმრა?!

სად გუგუნებს ის გრიგალი,



საით წაგამდინარა...“

– შენსკენ, ჩემო სიყვარულო, შენსკენ წამდინარა... თქვა და ისევე გადაიკისკისა.

– არასასიამოვნო სიცილით გაფიცებულმა, სცადა გვიძრის ფოთლის მოშორება, მაგრამ დახედა თუ არა გაოგნდა, წამით თითქოს თავბრუ დაეხევა... ვაჰ, ქალის სახე ფოთოლზე? რა ნაცნობია? – ნეტავ სად მინახავს? ჩაფიქრდა... კვლავ დახედა მარცხენა ხელზე მიწებებულ გვიძრის ფოთოლს...

– რა იყო, რას მიყურებ, ვერ მიცანი? ნუთუ ცირას იქით, ვერ იხედება?..

– გხედავთ... გხედავთ... მგონი გიცანით... მასწავლებელი...

– ჰო, მართალი ხარ, შენი მასწავლებელი ვარ.

– მერე რა გნებავთ ჩემგან? – ჰკითხა გაკვირვებულმა ჭაბუკმა.

– ველოდები შენს სიტყვას, რომ მითხრა:

„გამახსენდი და...“

აქვითინდა

ჩემი ბავშვობა...“



– არა, არა. ეს არ იქნება. ძალიან გთხოვთ, ასე ნუ აღიქვამთ ჩვენს ურთიერთობას ხომ იცით მე ცირა მიყვარს.

– ცირა დათოს უყვარს და იცოდე, იგი მისი იქნება.

– ტყუილია, – დაიყვირა ჭაბუკმა.

– ო, არა უშავს, ბედი მაინც აგიზაფხულებს და ჩემს სიყვარულს კვლავ ამიყვავებს.

– ეს არ მოხდება, თქვენ ჩემთვის მხოლოდ მასწავლებელი ხართ – მეტი არაფერი.

თქმა იყო და ჭაბუკმა სახეზე მოფერება იგრძნო. იგი შეკრთა. გაცემბულმა სულ ჩამოიღლიჯა გვიმრის ფოთლები, მაგრამ კისერში ისე მიეწევა ფოთოლი, რომ მოხრჩობა დაუწყო.

– „ო, ვნახოთ,

ვნახოთ,

სად მოგვიყვანს

გზა – არჩეული,

ჭაბუკო!..“

და ისევ დამცინავი კისკისი მოესმა.

– შეეშვი ჭაბუკს, ვერა ხედავ გზას ადგას ქალაქისკენ მიმავალს. მართალია, იგი შორდება სოფლის ღობე-ყორეს, მაგრამ თან მიჰყვება ბავ-



შვობის სიყვარული. იცოდე, შენი ხელის შეხება მის გულის სიმებს არასდროს აათრთოლებს, არასდროს იგრძნობს შენს სიყვარულს, ამოდ აყოვნებ, – იყო ნათქვამი ზეციდან.

– შენ თვითონ ვინ ხარ, ან რა იცი.

„თვალში ჩავცქერი
ჩემს ლამაზ სურვილს...“

– გვიმრავ, ნუთუ არ გესმი – დაიგრიალა გრიგალმა –

„უამთა დინება
თვითონ მთებმაც
ვერ შეაჩერეს?!“

გვიმრავ, იცოდე: დაიქროლა ძლიერმა ქარმა –
„წამოდგებიან სალი კლდეები
და ცას ფოლადის
მხრებით ასწევენ“...

– ჭაბუკი რომ წავიდეს სასწავლებლად... გაფრთხილებ! – თქმა იყო და გვიმრა ჯერ შეიშმუშნა, აშრიალდა, შემდეგ მწარედ დაიგმინა. ფესვები, ფესვები... ეკალმა გამიკაწრა, ალბათ ის არის ის, ც-ი-რ-ა – თქვა ჭაბუკის სხეულიდან სიცოცხლისუნარდაკარგული გვიმრის ფოთოლი ძირს ჩამოვარდა.



ჭაბუკი წელში გაიმართა. აეშვა, ვით ხარი
აპეურიდან. ამასობაში გრიგალი ამოვარდა და

„მოგლიჯა გვიმრის ხე
და მხარზე გაიღო,
თავისი სიშმაგე ველარ დაფარა“
გვიმრის მიმართ.

სიბნელისა და გრგვინვის გამო სოფელში
ძაღვებმა იწყეს ყევა. უცებ კოკისპირული წვი-
მა წამოვიდა. მდინარე ხობის წყალი თვალდა-
ხელშუა აღიდდა. კალაპოტში ვერ ჩაეცია დაა
ნაპირი გადამოხეთქა.

„ჰყივის სიცოცხლე და ჩემი ფიქრი,
კვლავ მიუყვება ვარსკვლავების
ყვითელ ქვაფენილს
და გზად აწყდება უკვე მეასედ,
ღამის მიღმიდან გადმონაფრენი,
მთათა გალობა,
ზღვათა სევდა,
მიწის გნიასი“.

ჭაბუკს სათქმელი დამთავრებული არ ჰქონ-
და, იგი მდინარემ ხელში მოიგდო და გააქანა –
თან ჩასძახოდა:

„მდინარეები



შენი ძარღვია
და ბობოქარი ზღვა –
გულად გიცემს.“

ჭაბუკი მიჰყვება წყლის დინებას ფიქრით –
„ხობის წყლის პირას მივატოვე
ბავშვობა ჩემი?!“

აღბათ დაგმანულია ჩემი ოთახის კარ-ფანჯრები, თუმცა ფიქრი და სევდა, ფეხაკრეფით, პატარა ჭუჭრუტანიდან მჯერა მაინც შევა, ვაი, თუ ჩემი ფიქრების თავშესაფარი მეხმა გაბზარა – „გამჭვირვალე ცის თეთრი მინა...“

– ნუ დარღობ ჭაბუკო, მიჰყევ დინებას, ის სამშვიდობოზე გაგიყვანს – ომახიანად გადმოსცახეს მთებმა. მათ უხაროდათ ჭაბუკის წინსვლა.

„გვიანობამდე ღრეობდნენ მთები...“

სხვამდნენ მთოვარეს

ბილიკების მოხრილ ყანწებით“...

მიდის, მიანგრევს არემარეს სიხარულით ხობის წყალი, ხოლო ჭაბუკში – ჩემი ფიქრი ბობოქრობს.

„წარსულის ციდან მოგონება წვეთავს და წვეთავს...“

ორმოცდასამი... ომი... შიში ვფიცულობთ
ძმის მზეს.



ერთი პერანგი და იმასაც ცეცხლზე აშრობენ,

– მეგრულ კერასთან ზის შიშველი ჩემი ბავშვობა

და მოწყენილი,

დარდიანი თვალებით მიმზერს“.

ჰო, შვილო, დარდიანი თვალებით გიმზერ, მაგრამ მჯერა –

„შენ ცხრაკლიტული ვერას დაგაკლებს, აიწყვეტ ჯაჭვს და მისწვდები მიზანს.“

– მოესმა ჭაბუკს დედის ხმა... და უმაღვე უპასუხა: დედა, მივარღვევ ტალღებს ხობის წყალისას და ოცნებაში –

„დავდგი თეთრი ტაძარი

და ყოველ წამს ვაჩუქებოთმებ

ფერადი ფიქრებით“...

– ნუ გეშინია, შვილო, შენი ფიქრი სიკეთისა და სიყვარულის გამომხატველია. ყველაფერს დადებითად შეხედე და შენს სასარგებლოდ აღიქვი.

– დედა, იცი რა ვნახე?

– რა შვილო?

„დედა ჩიტვიით ფოთლებს ნიავი –



ტოტიდან ტოტზე ფრენას ასწავლის...“

დედა, ნიაგი ისე აღვიქვი შენ ხარ იგი, შენს თავს, შენს სიტბოს, აღერსს მაგონებს. შენი სიყვარული ციმციმებს მარგალიტების ლამაზ მძივებად, ვიცი ჩემო დედი, თავი შევიგდე ბედის სასწორზე, მაგრამ უკან დახევას აღარ ვაპირებ. შეხვედრამდემო, – მიაძახა ოცნებაში და მიჰყვა ტალღების დინებას... მდინარის ტალღების რხევა მან ცირას ნაწნავეებს მიამსგავსა. ეწადა მასთან სიახლოვე, თხოვდა მას პატიებას.

„ნუ მიწყენ ცირა... ო, მაპატიე,

ყაჭის ძაფივით ნუ გამოწყვეტ

უეცრად სურვილს...

კვლავ მენატრები და იმედის სხივით გიყურებ!

თუმც ჩემს თვალებში

სიყვარულის ქარი

მძვინვარებს

და დამესავით მოედინება –

ფიქრთა ქარისგან ამღვრეულილ დარდის მდინარე...“

– მესმის შენი, მაგრამ ხომ უნდა გითხრა, შენი წასვლით გული როგორ მატკინე... – მოესმა ცირას ხმა.



– ჭაბუკი აღელდა... ხედავ ხობის წყალი, ჩემი სიცოცხლის გამგრძელებლად მზე ამოვიდა... თქავ და სიხარულის გამო მეგრული სიმღერა წამოიწყო:

მარგალ ცირა, სქვამი ცირა,
მიორქულო მუ ფქიმანა,
ართიშა ოკო ქოგაჯუდე,
შორშე მუჭო მეგოჯინა.

კოლხო, მშვენიერო ცირა,
მიყვარხარ და... რა ვქნა ბედო.
ერთჯერ უნდა გეამბორო,
შორით სანამ შემოგხედო?

ჭაბუკს გოგონას ნაზი ხმა აჰყვა და საოცრად ლამაზი სიმღერა გაოვიდა.

– განა ტყუილად გეძახდნენ სკოლაში შალიაპინს? – უთხრა და გადაიკისკიკა.

– ცირა, ხომ დამელოდები?

„– სანამ ღმერთი ნათელს დილის მიგზავნის ვით

ტრფობის წერილს“ – იყო პასუხი.



ამასობაში ხობისწყალმა, როგორც იტყვიან, კული მოიქნია და ჭაბუკი აზვირთებულ ზღვაში შეაგდო.

– აბა, შენ იცი, ივარგე ყმაწვილო, მოისმა გამამხნევებელი შეძახილი ვარსკვლავებიდან.

ჭაბუკი არ შეუშინდა აბობქრებულ ზღვის ტალღებს. შეეჯახა... მათ თურმე

„ზვირთებს ჩაკრულებს

ზღვის ლურჯ აკენებში,

მაღლა ამოსვლის ჰკლავდათ სურვილი“...

მიუხვდა ვითარებას ჭაბუკი და ზვირთებთან ერთად მაღლა ამოსვლა შეძლო, რაც შემდგომ ცხოვრების ეტაპზე მოიხსენია:

„უამრავი მადევს ზღვის ვალი“.

ზღვიდან ამოსული ჭაბუკი, იქვე ნაპირზე თვალეზე ცრემმომდგარი მოგონებაში გადავიდა, მაგრამ ისევ მოესმა ხმა იღუმალი.

– ჭაბუკო გამხნედი, ნუთუ არ გესმის.

„ნანას რომ გიმდერის ხობის წყალი –

დედაა შენი,

უფროსი და – გახლავთ ვაზისი“ –



ჩემი სისხლხორცი ყველა აქ დარჩა, მათ შორის ჩემი სატროფო, ულამაზესი ცირა, აქ მარტო რა ვქნა?! თქ იყო და...

„ზღვა როგორც მლოცველი

ნაპირთან მუხლებზე დაეცა და ატირდა“.

ჭაბუკს წამით გაუეღვა ოცნებაში –

„ეს ზღვა კი არა,

მედვას ოხვრაა“

რომელმაც გადმოიარა შორეული ზღვა ლეგენდების და მოაღწია ელადიდან კოლხეთამდე... ჭაბუკი გამოუცდელია, მარტოა, მაგრამ მაინც ცხოვრებაში წინსვლას ამჯობინებს. იგი თავის-თავში დაჯერებული ეუბნება იდუმალ ხმას:

„დამტოვე...“

ცრემლის ბილიკს მივყვები“...

– ბილიკს გავყევი ნუ გეშინია, ხომ იცი ბილიკებზე, ველზე, მინდვრებზე მცენარეები ხარობენ. ფესვებით მიწას არიან მიმაგრებულნი და უძლებენ ყველა ზემოქმედებას. შენც რომ ძლიერი კოლხური ფესვები გაქვს. გჯეროდეს კოლხურ მიწაზე სალი და ლამაზი მცენარე აღმოცენდება და ძარღვეული ფოთლებით. ღმერთმა ქნას. ამინ! იყო გულთბილი ნათქვამი ვარსკვლავეთიდან.



„ფოთლები...

ო, ქარვის ფოთლები, –

ძვირფასი განძი და მზითვეი“...

ჩაილაპარაკა თავისთვის ნაღვლიანად და
ოცნებაში ჩაიძირა... ზღვა ჩემი პოეზიის სტიქია
უნდა გახდეს, ... რაღაც მგონია

„ზღვა არწივივით აფრენას ღამობს

და ჩემს მახლობლად სურს

დავანება“.

თუ ასეა ზღვაო, მაშინ მეც შენს გვერდით
ჩავიმუხლებ – თქვა და ზურგჩანთა მოიხსნა,
რომელიც სავსე იყო ლექსებით. დიდხანს აფა-
თურა ხელები შიგ. ბოლოს მაინც დედაზე დაწე-
რილი ლექსი ამოარჩია და ვინაიდან ეგონა მარ-
ტო იყო, ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

„დედა – სიცოცხლე, სიხარული დაა აღ-
მაფრენა

დედა – სინათლე, სიყვარული – ციდან ნა-
ფენი,

დედა – ღამპარი, ბნელი ღამის გასხვიოს-
ნება,

დედა – ღამაზი, ახდენილი როგორც ოცნე-
ბა.



დედა – იმედი, აღმართული საღ-კლდედ,
პიტალოდ,

დედა – ნუგეში – მწყურვალს წყალი რომ
მოუტანოს.

დედა – მჭედელი ამქვეყნიურ ბედნიერების,
დედა – აღმზრდელი და დამნთები ჩამქრალ
კერებ ის,

დედა – ნიადაგ, სისხურლის ცრემლის მთე-
სავი,

დედა – უფალი, სული, ხორცი და ნათესა-
ვი.

დედა – სუსტ მხრებზე ცისარტყელა გადა-
ნაყარი,

დედა – მზე, მთვარე, ბობოქარი ზღვა და
სამყარო.“

– ყოჩად ჭაბუკო, გული როგორ ამიწყეე –
შეეხმიანა ზეცა, მაგრამ ანა მარტო ზეცა? ახმა-
ურდა მდინარე, ზღვა, ოკეანე. მთებმა თავი და-
ხარეს, სისხარულის ცრემლები ღვართქაფად
გადმოყარეს, აშრილდნენ ფოთლები, ახმიანდა
ბუღბუღი თავისი ტკბილი ხმით, ხოლო ტყეში
„მხეცნი და სმენად მოვიდნენ“, მერე ერთმანეთს
აზრი გაუზიარეს: ხედავთ, კოლხეთს რა შვილი



გაუზრდია... გარემოების აღქმის როგორი უნარი აქვსო.

ამ დროს სიომ ჩამოიქროლა და ყველა გააჩუმა: ნუთუ არ გესმით საამური სიმღერა გოგონასი:

„ყოფნა-არყოფნის შუა პარალელს მუდამ გავლებდა,

ხმები, ვით ადრე მიიღტვიან აღმოსავლეთით.

მაგრამ, შენ, ჰეი, ბედი ხარ თუ ბედის ვარსკვლავი,

დღითი-დღე მიხვალ სადღაც

დასავლეთით“.

სმენადქცეული ჭაბუკი უცებ ზეზე წამოვარდა:

„ძვირფასო ცირა, ნუღარ შემრისხავ,

უხილავო და ღვთაებრივო,

კვლავ მასმინე ტკბილი – შენი ხმა“.

ჭაბუკმა ფეხდაფეხ მისდია ხმას, ემუდარა, მაგრამ ხმა არსაიდან... გაქრა. იგი თვალცრემლიანი ევედრება მთვარეს – ცირასთან პირველი კოცნის მოწმეს – შემახვედრეო, მაგრამ მთვარე-



მაც ღუმილი არჩია, ცირას ხმა კი გაქრა სიზმარივით.

დაღონდა ჭაბუკი... თვალები მიღულა და ფიქრებს მიეცა, მაგრამ ახმაურდნენ ზღვის ტალღები და ფიქრებში ჩაფლულ ჭაბუკს შხეფი შეასხურეს სახეზე: გაცოცხლდა, ხედავ რა სანატრელი, რა საამო უამია, ხედავ ვერ ხედავ სიჩუმის მიღმა, შენთვის ნათელი გზა ელავს... ზღვისგან გათამამებულმა დაიწყო:

„როგორც პოეტი

ზღვით ვარ მდიდარი...

და ვიცი, ჩემგან მისხლობით თუ

ცისფერ ურმებით –

ზღვა მიაქვს მოყვასს,

მტერს და მნათებსაც.

... თუ გავღარიბდი ოკეანეს კვლავ ვესტუმრები,

ვით შორეულს და...

მდიდარ ნათესავს“.

ჭაბუკო, შედი ეკლესიაში, ილოცე შენი სამშობლოსათვის, ხომ იცი თუკი სამშობლო კარგად გეყოლა, შენც კარგად იქნები, შენი პოეზი-



ცა ზღაპრული არის ქვევრი

სადღაც ელვის ბრუნავს კვერი,
იმალება ესში შველი
და ღრუბელი ჩანს აწყურად.

ცა ზღაპრული არის ქვევრი,
სადაც მთვარე ფეხშიშველი
დგას და მწიფე ვარსკვლავების
მტკვნებს სწურავს.

1968

* * *

თვით უფალმა განუმწესა –
ბედისწერა სულ თანმდევი,
შორს გაგარდნილ სახელს
საფად.
საქართველოს ბევრჯერ დევი
დაელირა,
მაგრამ მაინც ვერ
ჩაყლაპა.

1989



მთვარე – ხარია

თეთრი ღრუბლები მოკვდავების
არის ლოცვები,
ცის ტაძარში რომ ღამეს
ათევენ
და აღმართულან იქ დიუნებად.
მთვარე ხარია, რქებზე უნთია,
მირიადი მნათთა სანთელი
და მიარღვევს ბნელით მოსილ
უამთა დინებას.

1971



მითრიდატე მემქსე ევპატორი

მზერა ხმლისკენ გაურბოდა,
სამშობლოზე ფიქრით ნათევს,
რადგან ყოფნა ომია.
მით უფლობდა მითრიდატე
სპერს და
მაკედონიას.

1968



* * *

მოქათქათე აფრები კი,
წამოშლილან ქორწილივით...
შორით ზღვა რომ მოხანს
ღურჯად,
ისე, როგორც ქორს წიწილი,
ქარიშხალს კვლავ
ჩაუბლუჯავს.

1987



* * *

გველოდება ვაჟას მთები,
ვტოვებთ მცხეთას და
ნარეკავს.
შუადღეა და არ სჩანს მნათი,
მაგრამ სადღაც მზის ზარს
რეკავს –
საქართველოს ცის გუმბათი.

1967



გემეხსა და მარინისტებს

ღელვა მაღლა ერეკება
ზღვის ნაპირთან მოსულ
ქაფებს,
ჩემი ყალმის ქარი მისდევს –
ბერწ ანძებს და
ორსულ აფრებს,
გემეხსა და მარინისტებს.*

1978

* მარინისტი – მხატვარი, რომელიც ზღვის ხედებს ხატავს.



აბენუს და იოდოსაფს

დიდი ბუდას – დიდ ინდოეთს,
ისევ ესმის ხმა საარის,
მაინც ქრისტეს ხატით მოსავს
აბენუს და იოდოსაფს –
ბრძენთაბრძენი ბაღავარი.

1970



* * *

შავად გაზვიანულ ღრუბლების –
ტალღა მიჰყვება

ტალღას...

ცა ხუჭავს ელვის თვალებს.

კიდობანია მოვარე,

გადარჩენილი წარღვნას.

1966



ნიკო ღაღიანი

ღმერთს აღუვლენს მალე ლოცვას,
აქ ტაძარი „ახალდაბის“.

და მოშურნეთ ახრჩობთ
ბოდმა.

ესხურება ოდიშს ნამად:
ღაღიანის „დასტურ-ღამა“,
ნათლავს კურზუსა და
ნოდას.

1965



* * *

იქ – ზღაპარში ვხედავ ვეშაპს,
შვიდი რქით და ცხრათავით,
სოფელს წყაროს წყალს
არ აძლევს,
არც ზაფხულ, არც ზამთარი.

1966



მზე და მთვარე სარკმლებია

კვლავ ფეთქავენ პულსარები...*
ზეცას ხელი ყოვლისმპყრობლის,
არასოდეს არ კლებია.
ხმები ისმის იქ საჭრეთლის,
მზე და მთვარე –
სარკმლებია,
სხვა სამყაროში საჭერეტი.

1972

* პულსარები – ახალი ტიპის რადიოწყაროები.



* * *

ბრძენს უგდე ყური,
უბნობს რომელიც,
– ხეს უნაყოფოს კეცს
არ ესვრიან.
თავთუხიანი აქ ყანა პურის,
შენებრ არავის დაუთესია.

2004



* * *

მთვარის მიღეულ სასაფლაოზე,
ობლად დარჩენილ
ვარსკვლავების
ისმის ყაყანი...
რომ დააწყნაროს ცა და ქაოსი,
წავიდა ღამე,
ღღის მოსაყვანად.

1994



* * *

ფოთოლცვენის ხმა გაკრთობს ყოფნის
ედემ ბაღისა,
თუმცა შორსაა ჯერ შემოდგომა.
„ლაშარის გორზე“ მაცხოვარმა შენ ერთს
გაღირსა,
(ამდენ ხმოსნებში...)
მწირად შედგომა.

1994



* * *

ეს მისი ხმა არის,
„ჰაერის მცველთა“ შიშში
რომ ისმის
და რომ აკავებს სიავის ღვარცოფს.
ის ვარსკვლავია ისნის,
მზის ამოსვლა რომ გვამცნო.

1994



აკაციის ყვავილიდან მიმზერს

ღამით მასზე ვლოცულობ
და დილით კი შევხარი,
ჯერ უხილავ იმ მზეს,
რომელიც შეფერვით,
აკაციის ყვავილიდან მიმზერს.

1969



მარადი წყარო

ახლა არა,

გაჩენიდან,

ჩაუქრობებელ ცეცხლში მყოფი,

ვერ იოკებს სული

წყურვილს.

იულისფერ წუთისოფელს,

თუმც,

მარადი წყარო* უკლის.

1962

* მარადი წყარო – ქრისტეს სიმბოლოა.



არც ქიზიყი ჩანს,

არც ბოდბე

ცის სარკეს შემორჩენლი,

ძველი მზით და

სილამაზით,

არც ქიზიყი ჩანს, არც ბოდბე.

ნისლში წევს ველი

აღაზნის

და მწარე წარსულს აბოდებს.

1988



* * *

ვარ მუხმოყრილი მლოცველი,
იმ „კიბის“ და
იმ „მთის“ –
მომცემი ცის ნაყოფის.
მომფენი იქ სინათლის
და წყაროს კი – აქ ყოფნის.

1989



* * *

ვინც ეწამა მამისათვის,
ვინაც ცოდვა კაცთა მოღმის,
თავის სუსტი მხრებით
ზიდა,
ელვასავით ის ჯვარცმული,
ისევ გვითვალთვალეს
ციდან.

1986



* * *

ათასწლეულმა მეორემ,
შენს თავზე
გადაიგრგვინა.
შეგბი საქმეს სათაოს.
და უზეშთავს გვირგვინად,
შენ ექმენ ცაო¹
ცათაო.²

1979

1 „ცა“ – ღვთისმშობლის სიმბოლოა.

2 „ცათა“ – ქრისტესი.



* * *

ვითარცა შამპოლიონი*
გამოჩნდეს,
კოლხთა დიდ წარსულს,
პირს რომ ცრემლებით მობანდეს,
რომ სთქვას:
ევაოდა „აია“,
ხუთიათასი წლის წინათ,
იესო ქრისტეს შობამდე.

1978

* შამპოლიონი – ეგვიპტური იეროგლიფების გამშიფრავი



* * *

შური,

მტრობა,

სიძულვილი...

რა ქნას გული, ვეღარ უძლებს,

ამდენ ჭირს და ამდენ ურვას.

ყოფნა –

ეთერს მივამსგავსე,

არყოფნა კი – ბედშავ მურმანს.

1980



ცაში შობილს უშობელად

გრძელი ღამის წყვილიდან

დააპირებს მზე

ამოსვლას,

დრო მის სხივებს უშნოდ ბელავს.

მერე უქრობ ნათლით

მოსავს –

ცაში შობილს –

უშობელად.

1966



დიონისე არეოპაგელს

უხილაგს თუ ხილულ ნათელს –
უჩანს ფერმიღეულ ნისლად,
ცისქვეშეთში რაც რომ ვაგე.
ეუხმობ –

„საცნაურად მზისა“

დიონისე არეოპაგელს.

1964



* * *

სიკვდილის მერეც გრძელდება,
სიცოცხლე –
დაუსრულებლივ,
ამის მოწმეა ღერჭემი.
მთიები –
არის ბეჭედი,
ცად ამაღლებულ სულების.

1980



* * *

ჩემს სივრძე სანთელს ვუნთებ
ღმერთს,

აღთქმას,

მაინც ვერ ვასრულებ:

(რადგან იმსხვრევა,

დრო მინობს.)

ძველი კოლხეთის წარსული

მსურს ლექსებს –

მოვაძოვინო.


1966



* * *

მარადიულ მზით მოსილი,
უცნობი და
უხილავი,
არის ჩემი ორიენტირი.
გაჩენიდან უხმოდ
მიხმობს,
მეც გზად მივსდევ და მივტირი.


1967



* * *

მეხი ისევ დაროხროებს,
ცის სიმშვიდეს
ელვა კერავს.
ის კი კაცთა ცოდვას წონის,
მერე იცვამს მოქათათე
ქაფის პერანგს
და ზღვისკარად თავს გვაწონებს.

1970



* * *

ქვეყნად ღმერთი ერთი არის,
მაგრამ შენ უფლის
მხეველებმა,
ნათლით არა, ბნელით გმოსეს.
და ორმოცი წელიწადი –
უდაბნოში ხეტიალით,
ცამ დაგღალა როგორც
მოსე.

1980



* * *

შელამება ზღვას და ღელვას –
ზვირთთა თითისტარზე
ართავს.

მთები მიწას აშინებენ.
ქარი ზომავს არშინებით:
თოლიების –
სპეტაკ ფართავს.

1959



ალბათ, უნაც ღმერთს ენება

ძიღამტყდარი ღამეები,
მზით, დღეების ხმლებს
ფერავენ,
ალბათ,

ესეც ღმერთს ენება.
წინ აღუდგეს აწ ვერავინ –
შენს სიბრძნეს და ძლიერებას.

2001



* * *

იელვა...

ცამ ელვით დაშანთა
ნაპირი აჭარის.

ზღვა ხმელეთს ებრძოდა:
ეყარა ნასხერევი ჯავშანთა
და ქაფის წვრილ-წვრილი მარტვალი.
ეს იყო ამ დილით,

როს ქარმა თოლია,
მათ შორის ჩააგდო, ვით თეთრი
მანდილი,
და შეწყდა ზვირთების ჭაჭანი.

1966



წყლის მაგიერ ძმარი გასვს

მწე გლახაკთა,
დავრდომილთა,
და მარადის მზის მთესავი,
ზურგზე დარდით,
ჰგავდი მთასვლელს.
შენც დღეებმა –
ქრისტესავით,
წყლის მაგიერ ძმარი გასვეს.

1964



გაახილა კვირტმა თვალი

(დაბადება)

იქ, ბეთლემთან ვარსკვლავები,
მიწას ოქროს სხივებს სცემდნენ –
მთვარის ვერცხლის დაირიდან.

გაახილა კვირტმა თვალი –
ცისკენ მზირალ აღვის ხიდან
და სამყარო გაირინდა.

1964



* * *

ზვირთები კი არა,
ღელვა,
წყლიდან ამოსვლას ღამობს,
ყაჩად ქარიშხალს ბაძავს.
და...
ზღვა მედეას გამო,
ისევ არ იხდის ძაძას.

1966



„ამაღლება“, „იქმენ ნათელი“

ფიქრით ღამენათევი,

აქ – თენგიზი,¹

იქ – გულდა.²

შენი „იქმენ ნათელი“

ქართულის ცის კაბადონზე,

როგორ გამომზიგულდა.

1993

¹ თენგიზ სამსონაძე – (ეგრისელის ათასგვერდიანი წიგნის „იქმენ ნათელი“) მხატვარი. (1993 წ.)

² გულდა კალაძე – (ეგრისელის მეორე წიგნის „ამაღლების“) მხატვარი. (1971 წ.)



* * *

წამიც და ზვავები ყველაფერს დარაგავს,
ხევსურსაც ჩაჩუმქრავს

ბიჭით და

გოგოთი.

წუხილი წამოვა მთებიდან არაგვად.

მირაუში გზა მოჩანს

გოლგოთის,

და ყოფნა – ქრისტეს ჰგავს,

არყოფნა – ბარაბას.

1984



* * *

რადგანაც ცაში ბინადრობს,
უნდა ეპყრას მთვარის კოკა
და მასსუროს აიაზმა.*
თუ მომკლავს,
სიკვდილმა მომკლას,
ქვეყნად ყველაზე ღამაზმა.

2006

* აიაზმა – (ბერძნ.) კურთხევა. ნაკურთხი წყალი.



* * *

ზარების რეკვა მთიების,
შეშურდებოდა მნათესაც,
როს ელვამ ღამე

გაკვეთა:

წამსვე მიწაზე დათესა –
შიში და
სასოწარკვეთა.

1988



* * *

(ვარიანტი)

ადრე სხვა იყო,
ქორიც ვეღარ გადაიფრენდა
ბათურას შიშით...
და ის ახლა თავს არ იტეხავს
ყეფით...
კომშის ხე მოჩანს ყარაჩად.
მელღვივები შესევიან
ჭონტოს ჩიტღვივას,
რომ აუქშის კაცი არა ჩანს.

1999



* * *

ისე ვჭვრეტ, ვით კოლხთა

ძველ იარას –

შავი ზღვის ზედაპირს –

წითლად რომ ედებთან:

ჩამავალი მზის სხივნი კი არა,

ღალატით მოკლული აფსირტეს,

სპეტაკი სისხლის წვეთებია

1966



* * *

ცაში ელავენ მილიონი...

და ათასები.

უფლის ნაჭედი –

ვარსკვლავების


ოქროს თასები,

ანგელოზები მათ –

სიშორის ღვინით

ავსებენ.

1998



* * *

ბალახებში დაგოგმანობს,
შენი მწყერი –
 არ აფრინდა,
ამიტომ გსურს კლდის ვეფხვივით,
გადაფრინდე ქარაფიდან.
იქით წახვალ არაფრისკენ,
 აქ მოსული არაფრიდან.

1960



ვისი გორის ხარ

სამშობლოს ერთგულ მეციხოვნეს
და ვით მოისარს,

არ დაგავიწყდეს თუ კაცი ხარ,

„ვისი გორის ხარ!“

უნდა აღგე და ეს სიტყვები

გულის ფიცარზე ამოიკვეთო,

რომ მარადის მის მზეს ფიცავდე.

შენი მტვრად მქცევი,

მიწად იქცა,

ქვეყნად მოისრა,

შენ კი გახსოვდეს,

საიდან ხარ,

„ვისი გორის ხარ!“

1989



* * *

შოთა, ვაჟა, აკაკი –
ქართულ სიტყვის მეწყერთა,
სახელებს ვინ დაითვლის...
შენც ლექსებს წერ...
ლექსს წერდა,
მეფეთ-მეფე დავითიც.

1960



* * *

ვითარც ადრე,
ჩემს კოლხეთში,
ავისმდომი და მოდავე,
ახლაც,
ისევ უღევია.
და ტაღლები რომ შფოთავენ,
მოყვრისაგან გაყიდული
წინაპართა –
სულებია.

1966



* * *

ცის ლაუვარდამდე ამაღლებული,
მისი მთები და

მისი ბორცვები.

გულზე გაბჯენენ ტორებს თოვლიანს.
ღმერთად მქცევი და

შენებრ მლოცველი,
კოლხეთს არასდროს აღარ ჰყოლია.

1966



* * *

მთიებით მჭიდროდ დასახლებული,
კვლავ იძირება მთვარის
კუნძული.

ქარს კი მოუჩანს ოქროს ფაფარი.
და ხელებს უჭერს ზვირთთა
ძუძუებს,

ზღვა,
ცას შველას თხოვს მიუსაფარი.

1969



* * *

როს გავხედავ ქართველის წარსულს,
ვიცი,
ცრემლებს რაც მაძალებს
და ტანჯულ გულს
რაც მიხარებს.
და დავტირი: ნატადრალებს,
ნასახლარებს,
ნაციხარებს.

1986



* * *

როცა მთებს მიღმა გადარეკა
ქარმა ღრუბლები,
მოულოდნელად სივრცე ამწვანდა,
თითქოს სამყაროს რაღაც ახარა.
წამს ცის კოშკიდან
გადმოფინა ელვამ ნაწნავი,
ისე, ვითარცა მზეთუნახავმა.

1980



* * *

საუკუნეზე მეტი გასულა,
რაც განისვენებს აქ
ბეკოია.

გადავიწყება –
აწვიმს ლაფაროს.

იქვე ეულად მდგარ სეკვოიას,*
სურს,
რომ ლოდს ტოტი
გადააფაროს.

1987

* სეკვოია – გიგანტური წინვიანი ხე.



* * *

ავი დედინაცვალით,

ზღვის ძველ აკვანს

ქარი არწევს.

ვზივარ მე მონუსხული.

და ვკითხულობს უფლით ნაწერ

ცას –

ვარსკვლავთა ნუსხურით.

1964



* * *

შენც მითრიდატე პონტოელივით,
გსურს ჩაგესმოდეს

ცბიერ ზვირთთა

აყალ-მაყალი,

ქარიშხლის შფოთვა გულს აყრუებდეს.

პონტოს ნაპირზე

უნდა იდგეს

ცამდე მაღალი,

შენი ძეგლი და ზღაპრულ კოლხეთს

გადაჰყურებდეს.

1966



* * *

სიცოცხლე თუ იყო ღოცვა,
წასვლა უნდა ჰგავდეს
ქორწილს –

 სიმღერებით ღამენათევს.
და შეხვედები სიკვდილს როცა,
ხელს მაგრადაც ჩამოართმევ
 და ვით მოყვასს გადაკოცნი.

2005



* * *

პრომეთემ ზეესს რომ წარსტაცა
ცეცხლი –

ღვთისაა ფარეში.*

სინათლის იქით ბნელდება.

სიკვდილი ყველგან თარეშობს,
სიცოცხლე მაინც გრძელდება.

2001

* ფარეში – მოსამსახურე.

* * *

მწვერვლები თუ დაღაშქრე,
სურვილები აისრულე,
თავს ქოქალას დაგაყრიან:
ყველა შურით დაისრული,
მაწანწალა და
აყვია.

2000



ბნელი ღამე ზღვაზე

ტანზე შავად მოსდებია,

ღამის წყლული

არ მოურჩა

და ვერ იტანს ქარის ხარხარს –

შავი ზღვა და

შავად უჩანს –

შავი პირი...

შავი ხახა.

1969



* * *

მე ვიხილე: მახათასთან –
ადიოდა მყევალს კვამლი,
დაწიოდნენ ცას ქორები.
და ჩემს თვალწინ გაკრთა წამით
მოსე...

ცხვრები...

მთა ქორიდის.

1967



* * *

ათასწლეულებს გადაუთელავთ,
არსად არც ღოდი,
ჯვარი,
არც ძეგლი.

დავიწყებისკენ მიაქანებენ ხომალდს –
შორეულ წინაპართა ღანდით
გაძეგვილს:


მოსინიკები,¹

მალხიები,²

მელანქლანები.³

1971

^{1,2,3} – კოლხური (ქართველური) ტომები.



* * *

გაუხსნია ცას საყელო
და სიღურჯე თოვს
იების,
მზეს რიდი აქვს ამოსვლის.
ზღვას აცვია –
თოლიების
მოქათქათე სამოსი.

1977



* * *

დაწერილი ღვთის კარნახით,
ყველა სიტყვა,
ყველა ლექსი,
ბრწყინავს, ელავს ამარტივით:
პოლ კლოდელის,¹
კოპეს,²
პერსის,³
მიშოსა⁴ და ლამარტინის.⁵

1972

^{1,2,3,4,5} – ფრანგი პოეტები.



მირაბოს ხიდი

...და აქ სენაზე,
(ვითარც მტკვარზე ბარათაშვილის),
გამფანტავი ღამეულ ბინდის),
თავს გვაწონებს მირაბოს
ხიდი, –
 ქვეშ ზვირთთა ფარა დის
ნიადაგ –
 ბარად გაშლილი.

1984



* * *

წამიერი ნათებისთვის,
მეტეორის თავგანწირვა –
უსამანო სივრცეს ზაფრავს.
თუმც მუუფობს გაჩენიდან:
თუთარჩელა,¹
ზღვა² და აფრა.³

1969

¹ თუთარჩელა – იგულისხმება, მამა ღმერთი.

² ზღვა – იგულისხმება ღვთისმშობელი

³ აფრა – იგულისხმება ქრისტე.



ზღვა – დედა მგლოვიარე

ქარის ფრთებით ღრუბელ-ღრუბელ,
ცადა ხმელი მოიარეს,

არც არავის შინებიათ.

ზღვა – დედა მგლოვიარე,

და ტალღები –

მომაკვდავი შვილებია.

1976



* * *

ისე, ვითარცა აღფრედ მიუსეს,
ანდრე შენიეს გამახსენებდა
ერთი ტაეპი:
– მსურს სიტყვა უღერდეს ფოლადივით,...
ბრძოლა მომელის,
როვა შევეყურება მტკვრისპირ
ღვთაებრივ
ყელს –
ცისკენ მზირალ სვეტიცხოველის.

1966



აია და აბუნა

მომხდური და მოძალადე
ბევრჯერ შეცდა და
ინანა,
რადგან აიეტის კოლხეთს
ბევრი ტანჯვა არგუნა...
იბერთ ოდით მფარველობდა
ია-ნანა,¹
დაინანა,²
აია³ და აგუნა.⁴

1969

^{1,2,3,4} – ძველ კოლხური პანთეონის ღვთაებები.



* * *

უფალს შევთხოვ! –
პოეზიის ამ ღვარ-ცოფში,
(პოეტებს რომ ცა აბოდებთ.)
ჩემი თავი მაპოვნინე,
ვითარც გალას,
ვითარც ბოდლერს,
ვერლენსა და აპოლინერს.

1957



კოლხა-კილხა მაკრონი

მერგვინავ ჰელესპონტიდან,¹
ვიდრე მეოტიამდე,²
იყვენ მუდამ პატრონი –
ამ მთისა და იმ ბარის:
კოლხა³-კილხა⁴-მაკრონი,⁵
თობალ⁶-თუბალ⁷-
ტიბარი.⁸

1967

¹ ჰელესპონტი – შავი ზღვა.

² მეოტია – აზოვის ზღვა.


^{3,4,5,6,7,8} – კოლხური (ქართველური) ტომები.



ქართული დამწერლობა

ათასეულ წლის მერე
ხილვა ანდამატური,
სიშორით მომთვარული:
ქვაზე ბრწყინავს „ხატული“,
თავს იწონს „ტვირფრული“,
მთავრობს „ასომთავრული“.

1982



* * *

სივრცეს ბინდად ეფინება –
ჩამავალი მზის გოდება.

და დღის თვალი

ჩუმად ქრება.

შემოდგომის ხის ტოტები –

ჩანან მწუხრში

დღვის რქებად.

1966



* * *

შეგვიწყალებს უფალი და,
ვითარც ადრე,
თამარის დროს,
კვლავ დადგება ოქროს ხანა,
მაგრამ ჯერ კი წყვილიაღია,
არც თუთა¹ ჩანს,
და არც ჩხანა.²

1960

¹ თუთა (მეგრ.) – მთვარე.

² ჩხანა (მეგრ.) – მზე.



პარიზში

მწუხარე ქოლგებით დახურულ
ხალხის ზღვას ბოლო
არ უჩანდა
და მიასვენებდნენ ნეშტს,
ვიღაც ფერმერის.

შფოთავდა,
დრტვინავდა ზარს რეკდა
სამრეკლო სენ-მერის.

1982



* * *


აუღერებენ ჩანგს მგოსანნი
და მიიწევენ ცად ოსანა,*
მათ გულისთქმას ვერ გაიგებს,
ვერც მენცარი,

ვერც მისანი.

ზოგნი არის ოქროსანი
და ზოგნი კი ვერცხლისანი.

1978

* ოსანა (ბერძნ.) – გვიხსენ!



სპეროზა

რაც ბედს გამოქცეული
 ჰელე წყალში დაიხრჩო,
სულ მფარველობს მას მერე,
ქალთ-ღვთაება სპეროზა,
სპერის ზღვას¹ და
 სასპერებს.²

1978

¹ სპერის ზღვა – შავი ზღვის უძველესი სახელი.

² სპეროზა – შავი ზღვის ქალ-ღვთაება.



ლევინო

მტკერის „ბუტბუტი“ არ ჩაესმის
და სამშობლო – კვლავ აწვალებს.

აქ,

სიკვდილით მომკილ ყანას, –

სადაც ქვეყნის „გულდამწვარი“ –

ჩემი წინაპრები წვანან.



შატრის ტაძარი*

იცვამს საუკუნეებს
და გაჰყურებს მთა-გორებს
და სხვები მას ბაძავენ.
სვეტიცხოველს მაგონებს
შატრის –
ძველი ტაძარი.

1983

* შატრის ტაძარი – (XII-XIII სს.) ცნობილი არქიტექტორული ძეგლი პარიზიდან 98 კმ-ის დაშორებით.



300 ეზიკიელი

მიწას პირდამხობილი,
უფლის გამოცხადებას,
ისევ,
 ისე მიელის,
ვითარც იერემია,
 და ვით ეზიკიელი.

1972



ნეტავ ელვას არ აცეკვებს

ზღვას აკვანში მწოლიარეს,
როცა ქარი უმტვრევს ნეკნებს.
და ცა როცა დაუფარავს –
ღრუბლების შავ ბაღდახინებს,
ნეტავ ელვას
რა აცეკვებს
ანდა მიწას რა ალხინებს?!

1988



მცხეთასთან და ნარეკვაჰთან

(დიდი დილომი)

გადმოსულან თრიალეთით

მთები...

და იქ წუხან ერთად –

წარსულს, –

ნახვლეცს ნარ-ეკალთა.

და ხმა ისმის მუხათგვერდთან,

მცხეთასთან

და ნარეკვაჰთან.

1962



* * *

ეს,
ასე თქმულა ბრძენთაგან:
ისე, ვითარც მკვდარს.
მძინარი,
სახე და პირდაშრობილი,
ვით ნაკადული მდინარეს,
ემსგავსის მშობელს
შობილი.

1988



აია, ბაია, თანაფა

სამების, ვით ერთი სახე:

ნეფე.

მეფე და მაფა.

(ჩვენ გემართებს აქ დგომა!)

აია,¹

ბაია,²

თანაფა³ –

მისრობა, ბძობა, აღდგომა.

1965

¹ აია (მეგრ.) – მზის დღე.

² ბაია (მეგრ.) – მთვარის დღე.

³ თანაფა (მეგრ.) – აღდგომის დღე



წმინდა მამები

ჩვენ თავთუხის პურსა ვჭამთ,
უფლის ხელით დათესილს.
იქ,

კი წმინდა მამები
მსხდარნი ღამის ნათელში
ტანჯულ სულს იამებენ.

1965



* * *

სამყარო –
 ღვთის ჰამაკი,
ცისარტყელას თოკებით,
გეამ¹ დაბლა მოჭიმა –
და ის ლოცვას აღუღლენს
ჭირამოს² და
 კოჭიმელს.³

1967

¹ გეა – მინის ღვთაება (განსახიერება).

² ჭირამო – მთვარის ცა.

³ კოჭიმელი – მზის ცა.



* * *

ზღვის ქვესკნელიდან ამოსულები
ზვირთები როცა

ნაპირებთან აიზვინება,
სულს კმიდავს სივრცე,
და ჩერდება დროთა
დინება.

1981



მზე – ღმერთია ყოველის

ქვეყნად,
იცის არავინ,
როდის,
ვის რა მოელის;
დასტურს სცემენ: სატურნი,
ნეპტუნი
და ურანი,
მზე – ღმერთია ყოველის,
მარად გაუხუნარი.

1963



* * *

გემებს მისდევდნენ ალბატროსები,
შლიდნენ,

კეცავდნენ ფრთების იაღქნებს,
ტალღების გრუზა თმას ივარცხნიდა –
ქარის სავარცხლით ზღვა

გულნაკლული

ცა შუბლზე ღრუბლის ქიცა წაკრული,
ცრიდა სინათლეს მთვარის
საცრიდან.

1973



* * *

თუთაშხაა¹ და თუთასთან
წუსს მთიების მარჯნეულით
ცა – გაშლილი,
ვით ორბის ფრთა.
მზე – ღვთის სული ასჯერ უელის
ეკლიპტიკას² და
ორბიტას.³

1967

¹ თუთაშხა (მეგრ.) – მთვარის დღე.

² ეკლიპტიკა (ბერძ.) ცის სფეროს დიდი წრე.

³ ორბიტა (ლათ.) ციური სხეულის სამოძრაო გზა.



* * *

დაფრთხება და უცებ ელვა –
გადაუფრენს ჩინს და

მისრეთს

და ღამეულ შიშს დათესავს.

ცა

ზღვას უშენს წვიმის ისრებს,
ზღვა ნაპირზე დაყრილ ქვებზე
ტალღებს ღესავს.

1969



* * *

ნეტართა სამკვიდრებელი,
მიწა კი არა,

ცა უფრო

მეძახდა შიშით ატანილს:

ვწვეოდი უფლის –

საუფლოს,

მეხილა ცანი ცათანი.

1961



ფუტკარი

პაწაწინა ეს ფუტკარი
თაფლით სავსე –
 ოქროს მარცვალს,
ზღვაში თესდა,
 ცაში მკიდა.
მიტომაა, რომ სიტკბოსთან,
 სინათლედ გამოდის სკიდან.

1987



* * *

მამლის ყივილზე აისი,
ნაწერს მთიების ზღვა კენჭით,
დასავლეთის ცის დაფას ხრის.
და მოვარეს –

სახე დაკეჭნილს,
უხდება დრუბლის
ვაფახი.

1966



* * *

სშირად სღევს სიშორის ბილიკებს,
თვალს უწვავს არყოფნის
აღმური;
აშინებს დრო – რკინის მკვნეტელი.
აღმერთებს „დავითის ფსალმუნებს“,
„დიდ კანონს“ –
ანდრია კრეტელის.

1964



გადიგრიალებს ქუხილი

ჩემს რწმენის ცაზე მწუხრისას,
გადიგრიალებს ქუხილი, –
ხმად უმკაცრესი ზევსისა.

მე კი,

დაგეძებ უხილავს, –

მზეთამზეო და

მზევ მზისა.

1966



* * *

შენს დასარწყულებლად ზღვად ჩამავალი,
ერთი ღრუბელი,

მოჰგავს უშობელს.

და მთვარეს უკვირს,

რომ ცხელ ქვიშაზე,

ციცქნა ტალღები –

დიდებივით,

როგორ მრუშობენ.

1972



* * *

ასე არის ღვთის ნება:

ყოფნის ოკეანეში –

უამმა უნდა იდინოს

და ცამ უნდა იელვოს,

რომ ისმოდეს ნიადაგ

მზის და მთვარის თარეში.

1986



* * *

ჩვენი მოშურნე და მაწყევეარი,
ქართველის წარსულში
ხელს აფათურებს,
აქ ვარძიასთან,
თმოგვთან თუ
ხერთვისს.
მაინც მტკვარივით მარადმედინი
სული ქართული,
მარადისობას აქ სადღაც ერთვის.

1969



* * *

სფინქსის თვალეში ჩანისლულ
კითხვას:

არყოფნა-ყოფნაზე,
ცის ქვაბში დრო ამარიღებს:
ვით აღმასებს და
ტოპაზებს.
აქატებს, აკვამარინებს.

1993



ყორანი

(ვარიანტი)

საფლავთან ჰყვავის პირმზე,
ვითარცა მოსაგონარი,
გაღმა წასული ნეტარის.
შავს, რომ არ იხდის ყორანი,
ამდენს,
ვის გლოვობს ნეტავი?!

1970



* * *

ციდან მთიების მკრეფელთა,
 მოისმის ხმა საყვარელი,
მაგრამ მას არრად აგდებენ:
„შვილთა იყლიმთა მეფეთა“,
მეხოტბე –
 მესაკრავენი.

1966



ბერეცა და უაკარი

ბუნების და არსთა მოღმის

წყაროს ჩასქერს –

უანკარესს.

დრო-ჟამს მისდევს და მიკივის:

გერეცა¹ და უაკარი,²

მანდრილი³ და

მირიკინი.⁴

1979

1,2,3,4 – მაიმუნთა ჯიშები.



* * *

ვითა გრძელი დღე-ღამე,
უფალია – ჰაერი.
 ციდან ცვივა ნაყოფი,
ყოფნისა და არ ყოფნის,
სადმართოცა და
 საეროც.

1984



* * *

ამდენ დიდ-დიდ ვარსკვლავებში,
სადღაც ერთი მოჩანს ნეკად,
ღლის დაღებულ –
 ცის შავ კვერცხს კი,
მთვარე უკაუნებს ნისკარტს,
 „მიუაჩრდილებულ ცისკარს“.*

1982

* მიუაჩრდილებული ცისკარი – ქრისტეს მარადიული ნათელია.



ზღვაო, ბრიგალის მშობელო

მზის ჭიგოს ჩამოხუნძლულო

ვაზო,

სიცოცხლის მტევნებით.

ცისკარო დაუშრობელო.

ზე – ცითა დაუტევნელო

ზღვაო¹ –

ბრიგალის² მშობელო.

1998

¹ ზღვა – (იგულისხმება) მარიამ ღვთისმშობელი.

² ბრიგალი (იგულისხმება) იესო ქრისტე.



სიტყვის ხე


ოდით ყოფნას არ ყოფნა
კლავს და...

იგი არ კვდება.

სინათლის და სიტყვის ხეს –
ფოთლებს წყვეტენ და მაინც,
მრავლდება...

არ აკვდება.

2003



* * *

კაცთა ტანჯვა-წამებად,
აქ ჯვარი და ძელი დევს.
დაბლა კიდევ კუბრი ღუღს
და მას თავი ახადეს.
მიტომ იქცა „ძველი დღე“,¹
სინათლედ და „ახალ დღედ“.²

1969

¹ „ძველი დღე“ – მამა ლმერთი.

² „ახალი დღე“ – ქრისტე



კოლხებსა და ოდიარებს

ძირძველ ქართველთა ქართველობა,
ეცადნენ,

ვერ მოგვიშალეს,
თუმც მოსომხო „ქართველებმა“
ბევრი გვდიეს და
გვიშარეს.

ჩვენ, ან მარეს* ნაშიერებს:
კოლხებსა და
ოდიშარებს.

1981

* ან მარე – ცის შვილი (5185-5120 წწ.) კოლხეთს და ქიმეთის (ეგვიპტე).



ცაში მაცხოვრის ჰვეავის ბაღები

გუპატრონობს მწყემსი კეთილი,
რადგან ვართ უფლის

„ცხორები“.

ცაში მაცხოვრის ჰვეავის ბაღები,
რა არის კაცის ცხორება?! –

– ჯვარცმა,

აღდგომა და

ამაღლება!

1979



* * *

ჯიქთა მოღვმის ხარ,
ჯიქობა,
 ეს არის შენი ნატურა;
ეს არის ხსნაც და
 ქულფიცა,
არც მარსი და არც სატურნი,
შენ გელოდება
 უფლის ცა.

1969



* * *

წყვილად,
მანათობლად ახლავს,
რომ სათავე წყალს დაუდოს,
მიტო მუდამ გარიჟრაჟობს,
ცის ნათელში ერთად ბუდობს:
მტრედიც,
გვრიტიცა და ღაჟოც.

1968



* * *

ცოდვის მონანიებად,
ნაწერს ცრემლთა ანბანით,
ცის აკვანში ვარწევდი –
სულს,

სტიქსეში განბანილს
და მირონით განწმედილს.

1969



* * *

მზე ცისკრიდან –
მიმწუსრამდე,
აღერსად და საამებლად,
ცოდვილ მიწას უვლის ბინდად,
რადგან მასში ჭვრეტ სამებას:
მამას,
ძეს და სულიწმინდას.

1964



* * *

ქარი უცებ გაიღვიძებს
და საავდრო ღრუბლებს
აშლის,

მერე ნაპირს ეტმასნება.
ის სამებას ხედავს
ზღვაში –
გადაქცეულს ერთ არსებად.

1977



* * *

მეცხრე ციდან ჩამოსული –
სინათლის და
მზისმთესავი,
ვით ბრძანებდა „ბრძენი დივნოს“.
კვერთხს დაჰკრავ და
კლდეს გააპობ
ქრისტესავით,
უფლის წყარომ რომ იდინოს.

1963



* * *

მთიებს –

უფლის ანგელოზებს

სძინავთ...

ზღვა ცის აკვანს არწევს.

ვიღაც წყლისპირს ყვება იგავს,

რომ მოსვლიდან

თაყვანსა სცემს

ზღვას –

მარიამს

ქრისტეს – გრიგალს.

1969



საწუთრო

ვინც ნახა,

ამბობს: უნდოა,

ვერც ვერრა დაისკუთრო –

ქონებად მუჭა ნეკერის!!!

რაღა,

მე ვენდო საწუთროს –

ბალახის ძაფით შეკერილს.

1999



* * *

ქარიშხალმა საჯირითოდ –
ზღვის ტაშირი არ იკმარა.
და როს მებმა სტყორცნა
შუბი,
ელვა, სადღაც გაიპარა,
მთვარემ უცებ შეკრა
შუბლი.

1989



თურქეთის საქართველოში

მკერდზე ატყვია იარაღ,
ნატორი ღომის თათების,
მაგრამ გულამდე კვლავ ატანს
ჩიტის ხმა: „ნუ გათათრდები!“
ართვინს,

არტანუჯს და
არტანს.

1971



✽

ეს ჩვევად ჰქონდათ წარმართებს

მიხედები,

მოდემას ადამის,

რა ცოდვა აგვიკიდა,

როდესაც წარსულს შეუვლი.

და ნახავ ცაცხვზე ჰკიდა –

მიცვალებული აფხაზი

ტანს ნაბად შემოხვეული.

1981



* * *

თეთრი დღეების მდინარეები,
ჟამთა უძირო შავ ზღვას
ერთვიან
და თვალს უხელენ საწყალ უკუნეთს.
ნათლითმოსილი სიტყვა –
ღმერთია,
ზოგჯერ წამის-წამს ასაუკუნებს.

1969



ჩვენი ცხოვრება

უფლის ღამაში ხელით ნაწერი,
ჩვენი სიცოცხლე –

დიდი წიგნია,

ამ ძვირფას წიგნის ჩვენ ვართ

ფურცელი,

მოვა არყოფნა,

ჩუმად ამოხევეს,

მერე ხმაურზე,

შუკა-შუკა გაიცურცელეზა.

1997



გადარეული სიყვარული

გფიცავ უფალს!
მე არ ვიცი ღალატი,
უკურნებელ ჭირითა ვარ
სნეული,
ისე, ვითა აშოტ კურაპალატი.
რა ვქნა ჩემო!
სიყვარული შენი მჭირს –
ერთობ გადარეული.*

1960

* „სიყვარული იგი გადარეული“ პავლე მოციქული (გიორგი მერჩულე).



* * *

მზის წყვდიადით მოსილი,
იცის ცაში ბინადრობს
და თავს აღარ ანებებს:
ლოცვად –
მთიებს აღუვლენს,
ვით დღეს დაუღამებულს.

1980



* * *

ვარსკვლავებით ნათესი
ცაა – უფლის საყანე.
ხმა კრთის მთვარის –
მნათესი.
სხვა კრძალვით და თაყვანით:
ვინც ხორც დასწავს
სულისთვის,
ის იხილავს „საყვარელს.“*

1972

* „საყვარელი“ – იგულისხმება უფალი.



* * *

არ ჩანან ჰაერთა მცველნი...

მთვარის ხმა ისმის:

აცხოვნე!

გალობენ ანგელოზები

და შენი სული ქართული,

ვითარცა მსხვერპლი მაცხოვრის

ცად აყავთ ფრთების

ფათქუნით.

2004



* * *

გაზაფსულის ბაღებიდან –
ვიღაც ყივის:ძ მიესალმე,
ქარის სახრით გადმორეკილთ,
ნაპირთან მღვარ თავმოდრეკით
მტევნებს ზღვის თუ
იასამნის.

1994



* * *

თუ მზეთამზემ მომცა

და ამქვეყნად მაცხოვრა.

თუკი „ჰაერთა მცველნი“

ნათელს არ დამიშორებენ.

მაშინ სანთელს ავუნთებ,

მადლს შევწირავ მაცხოვარ –

ღმერთს,

და მთავარანგელოზს

და მარიამ ღვთისმშობელს.

1963



კიბევ, ცათამდე მიღგმულო

ვილოცო და გცე თაყვანი,
ამქვეყნად მისთვის ვბოგინობ.
მიყვარხარ!

მიტომ ვდიგულობ –
ხეო,
სვეტო და ბოგირო,
კიბევ,
ცათამდე მიდგმულო.

1968



* * *

ჯერ ჩემს მზეს და სინათლეს
მოსავეს ბურტყელი ბახალის.
თუმც, ვით ჩემს დიდ
წინაპრებს,
ღამის წყვდიადს მილამპრებს –
ძველი დღეც¹ და
ახალიც.²

1959

¹ ძველი დღე – (იგულისხმება) მამა-ღმერთი.

² ახალი – იესო ქრისტე.

* * *

ცნობადის ხის ტოტებიდან
მოწყვეტილმა მზის
ნაყოფმა,
ბედკრულ ადამსა და ევას,
გზა და კვალი აუბურდა:
თვალთ ნათელი დაუშრიტა
და წყვდიადი ჩაუბურდა.

1986



* * *

მეუფობს მდუმარ სანაპიროზე
იდუმალების შიშით

მოხილი:

ზღვა, ელვა, ქარი,

როგორც სამება.

და თოლიების მოქათქათე

ფრთის პაპირუსზე,

ცა წვიმის ფანქრით წერს

შელამებას.

1994



* * *

მთვარე მზეთუნახავით –
იჭვრიტება ციდან მორცხვად.
ცა ჩირაღდნებს –
ჩუმაღ ანთებს.
ზღვის ტაძარში ღამენათევ –
ზვირთთა მრევლის
ისმის ლოცვა.

1998



* * *

მათ ქრისტიანთა სუნი სცემთ,
ბილიკს მისდევენ
ქარიანს...
ღევის რქიანი ღრუბლები,
სადღაც რომ მიიჩქარიან.

1964



* * *

ვით ღმერთ-კაცი ამირანი,
მაცხოვართან ხშირად დაობ,
ანგელონიც გშველიან.
და შენც იწვევ საჭიდაოდ –
ქრისტესა და
ელიას.

1966



კოლხა

ფაზისის თუ ნილოსის
სულით გაბრწყინებული,
როცა კოლხა ელაგდა,
არ იყო ბაბილონი,
არც რომი,
არც ელადა.

1970



კვირტი

მზისგან დაორსულებულ ხეს სურს
შობოს ნაყოფი.

რათა ამცნოს

ქვეყანას –

სიხარული აქ ყოფნის.


1989



* * *

წარმართული ბილიკებით
შორეთიდან მომავლმა,
ძველმა ათასწლეულებმა,
ვით ახალმა სდიონ ისევ:
ღვინოს, ღვინოს და წვეულებას,
ქრისტესა და
დიონისეს.

1982



* * *

ვარსკვლავებით მორწყული
ცაა უფლის ვენახი,
სადაც, ვითარც მეველე,
აღარ ვიშლი ხეტიალს.
და მსურს, როგორც ან-მარეს,*
უფალი რომ მენახა,
ბაბილონის გოდოლი?!
აღბათ მეტის-მეტია.

* ან-მარე – ცის კაცი (ქიმეთის (ეგვიპტე) მეფე (3185-3120
ჩვ. წ. აღ.).



მილეთს დევნი განაგებდნენ

სპარსთ ზღაპრები მოგვითხრობენ:
მილეთს დევნი განაგებდნენ,
 წელი შეიღიათასი!

მერე?

 მერე კაცთა მოღვამ,
 ყველა ერთად გათასმა.

1991



* * *

მესთა ტეხით დღეებმა
ჩემს ცას გადაუარეს,
უფლისაგან ბოძებულს
არრას ველი უარესს.
აწ წინ მიდგის ელვარე,
მე „საწმისი ცუარის“.*

1976

* „საწმისი ცუარის“ – ძლისპირი.



* * *

მხოლოდ ზღვამ იცის,
 შიშველი ტალღა,
ნაპირს თუ რაზე ეწურხულება.
სხვა არვინ არის მისი
 გამგონი
და უცაბედად მომგერელი ელდის.
ჭიანჭველები უუმცირეს ჰგვანან
 ვაგონებს
და მათი გრძელი მატარებლის
 შემადგენლობა,
იქვე გაყვანილ ქვიშის ბორცვის
 გვირაბის შედის.

1986



* * *


მზე,

მთვარე და ვარსკვლავი –
ცა დუღს მეფის ოჯახივით.

მე კი ვიწვი უალებოდ.
რომ არ მესმის მოძახილი –

ქართველ ინტელიგენტების და
ქართველ ინტელექტუალების.

1999



* * *

მიწაზე არა,
აღბათ ცაშია –
სამოთხე,
რადგან ვერსად ვერ ვნახეთ,
ლოცვა-ვედრებით ბოლოს ვეწვევით,
და... გაზაფხულის ჩვენ ვართ
ლერწები,
ცაში ყვავილობს ჩვენი ვენახი.

1996



* * *

მარადისობას მიველტვით,

ვახმე! –

თუ დაგვაგვიანდა

მისვლა...

და ჟამმა უჟამომ,

ადრე ჩამოჰკრას მიზრაფი!

ჩვენ კი არ ვუწყით, ნიადაგ,

რომ არყოფნისკენ ვისწრაფვით.

1999



* * *

სადღაც მედეას სახე გაკრთება,
როს დაადგება ცას
ალიონი.

– ათასწლის მერე შვილო!
მოხვედი?!

ძილში ჩურჩულებს ტაღდა
რიონის

თუ ცრემლნარევი ხმაა კოლხეთის?!

1969



* * *

ღამის სიშორე რეკავს,
გისმობს ვარსკვლავი ისნის
და გტოვებს მიწის ბელტი.

მორჩა!

ვერავენ გისხნის,

ქვეყნად სიკვდილის მეტი.

2001



ჰებე, ჰერა და ათენა

სიყვარულის გაელვებამ,
გულს ისარი გამიტარა,
ღამე თეთრად გამითენა:
უკრავ ხსოვნის ძველ კითარას,
მითიდან მყავს მოწვეული –
ჰებე,¹
ჰერა² და
ათენა.³

1966

1,2,3 – ძველ კოლხურ-ჰელაზგურ-ბერძნული პანთეონის ღვთაებები



უფლის ნაკარნახევი

ბრძენთა შეგონება თუ
უფლის ნაკარნახევი,
არასდროს გავიწყდება
და მარადუამს აგხსოვს ის:
რომ ხარ მატლი იობის.
გონით უნდა გამოჭრა
„პარკი“ ცოდვით ნაქსოვი
და შენ უნდა დაიხსნა –
სული კაცობრიობის.

1962



ჩემი წყარო

სვამს და...

მერე შურით ამღვრევს,
ვინც ბოროტად გულგრილია, –
ღმერთმა ყველა შეიწყალოს.
უფლის ხელით მორთმეული
წყურგილვა,*
ღვთის მადლია ჩემი წყარო.

1982

* წყურგილე (მეგრ.) მიწის სიღრმიდან ამოსული გრილი და
კამკამა წყარო.



* * *

აღბათ წმინდა გიორგი
არის,

რომ დასდევს ცაში
ავსულებს ელვის შუბით.
და გალობაში შაშვის,
ხმა არ გეცნობათ –
უფლის?!

1986



* * *

მოვარეს –
 ძიძას არ ძინავს
და რწვეის ხმა მოისმის
 ვარსკვლავების აკვნების.
და მზეც არსად წასულა,
დედა-მზეც კი შინ არი.
ღამის წყვილიად მიარღვევს,
 სადღაც მიიკლაკნება
 ელვა – უფლის მდინარე.

1969



გვრიტი

ხატებთან მრევლის ჩურჩული
უძილო,
 ღამენათევი,
ზიცისკენ ლოცვად იღტვის.
და განთიადის ნათელი
 ხმად მონარნარობს
 გვრიტის.*

1964

* გვრიტი – ქრისტეს სიმბოლოა.



* * *

ცას ღრუბლების დევები
ელვის წკნელით
როზგავენ,
მაინც ვერ იმონებენ.
შორს კი ბრწყინავს
ვარსკვლავი –
თვალთა თვალი გონები.

1998




მტილი

აგე,
ოცი საუკუნე,
უფლის ნებით მოწეული,
ჩემი ნიგზოვანი მტილი,*
კრადახშული,
დაკეტილი,
მობრიალებს ბროწეულად.

1968

* მტილი – ბალი, ყვავილნარი (იგულისხმება ღვთისმშობელი)



მსხლის ხე პონტოს სანაპიროზე

ყველას უკვირს...

ლაპარაკობს ერი,

ბერი,

(ფუჭი არის აწი მალვა).

რომ ნაყოფი ასე ტკბილი,

ასე ბევრი,

ვით მოისხა ჩრდილში მდგარმა

ერთმა მსხალმა.

1978



* * *

ღამე –

ბაყბაყ დევია,

ცის შავ გამოქვაბულში

წევს და თავს იმძინარებს.

დღე – კი ამირანია,

სურს პირისპირ შეყრა და,

კართან მდგარი მძვინვარებს.

1966



რწმენის ხე

აჰა,

რწმენის თეთრი ხე,
რომელსაც იმედების,
მარადმწვანე კვირტები
აკურია ღიღებად.
თუ ბრმა მას ხელს შეახებს,
თვალი აეხილება.

2004



თეთრი თულუნი

ზიხარ ცივ სიმარტოვეში,
„უხილავ მხეცთა“ ნატორი,
უსასოლო

და უღონო.

მაგრამ წამითაც არ გტოვებს
აჩრდილი –

თეთრი თულუნის.*

1963

* თეთრი თულუნი – შვეარდენი (თულუნი – ქრისტეს სიმბოლოა)



* * *

სადღაც ძაღლი შუაღამის
ცას გუღსაწყლად
შესტირის...

შენც დარდის დევს,
კლიტულში
ჰყავხარ გამოკეტილი,
მაგრამ წამით არ გტოვებს
იგი –
„მწყემსი კეთილი“.

1992



* * *

უხილაო და ხილულო,
კლდეო,
 სიმაღლის კედლო,
ათასი ტანჯვის ამტანო.
ნათელო დაუშრეტელო,
მზეთამზევ,
 ცაო-ცათანო.

1969



* * *

რა დღეს,
რა ხვალ ცოდვილი,
უნდა წარვდგე წინაშე –
მარადიულ მევალის,
და ვამცნო ხმის კანკალით:
პარკით გამოფრენილი
ფრთხანათელი პეპელა –
სული ჭეშმარიტების,
სხვა კი არა!
„მე ვარ ის!“

1965



ჩვენ კოლხები – იბერები

სიკვდილსა და მტერს ვებრძოდით
გაჩენიდან –
სიბერემდის.

გვწყვეტდნენ...

მაგრამ აკვნის რწევით,
ჯიშს და ჯილაგს ვიბევრებდით.
მით მოვედით აქობამდის
ჩვენ კოლხები –
იბერები.

1967



ბიბლიიდან

კოლხეთისკენ ვეზიდები:

ქიმეთს,

ბაბილონს და ხეთას,

მათში ვხედავ მე ჩემს თვისტომს.

(არა ლეგენდებს და მითებს)

ბიბლიიდან ჩემსკენ ვხვეტავ:

ბივრილს,

ტოპაზს,

ამეთუისტოს,

იასპებს და ქრიზოლითებს.

1965



ნათლის საჭურველი

ღამე იგი განგეშორა...
და გრაალის ბრწყინავს თასი,
ვარსკვლავების დგას ჭურები.
წელი არის ორ ათასი –
გემოსავს

ნათლის საჭურველი.*

1967

* ნათლის საჭურველი – ქრისტეს სიმბოლიკაა.



* * *

ზღაპრებიდან მოისმის ხმები
საარაკონი, –
ბაყბაყ დევის ბლავილი...
ხუთკუნჭულას ჩურჩული:
ადამიანს ვითა მტრობს:
გველი,
ჭარბი, დრაკონი,
ვასილიკო, ასპიტი, ვეშაპი და
დემონი,
ეშმაკი და იქედნე,
უნასი და ურჩხული.

1973



* * *

ზეცის ლურჯი ტაძარი –
სიშორის ზარს არისხებს,
სურს წყვილიაღი

მოისრას.

ძირს მოჭრილი ღამის ხე
მნათოებებს კვლავ

მოისხამს.

1969



* * *

სხეები სანთლებს უნთებენ

ბუდასა და

საბაოს.

მე თაყვანს ვცემ ჩემს უფალს –

მზეს,

მართლის და სიმართლის,

უქრობს –

დაუსაბამოს.

1986



* * *

ცად გეწევა ბრაჰმაცა და
ნირვანაც,
როს ჩასცქერი „ვედებს“,
„უპანიშადებს“.

და...

მოელი სიყვარულის ქუხილით
მას, ვინც ჩვენ არს,
ყველგან ყოფნით ამშვიდებს:
უსხეულოს,
უსახოს და
უხილავს.



ბურიაში

ათასეული წლის წინათ
აქ,
კოლხთა ნასახლარების
ნახვის,
მიგვაფრენს სურვილი.
შორს,
მთას პატარა ბილიკი,
მიჰყვება კრიმანჭულივით.

1968



* * *

მთიდან ჩუმად ჩამოტანილს,
ხობისწყალი ჰყვება ამბავს
და ტალღებში თან

ცას სწონის.

პარას ჭალა უმზერს დამბას,
მხართეძოზე წამოწოლილს.

1961



* * *

კოლხთა დიდი ისტორია,
თავსასთუმლად მიღვეს ოხერს,
და როდესაც ვიძინებ,
სიზმარშიაც ჩუმად ვეძებ;
მანრელებს¹ და
ვეძეროხებს,²
ბექირებს³ და ბიძირებს.⁴

1972

1,2,3,4 – პრეისტორიულ კლასთა (ქართველთა) ნაშეირნი.



წვიმა

გული უსკდება მიწასა და
 ჩნდება ნაპრალი
და მას სიცოცხლე,
სიკვდილს აბრალებს.
 ჭრიან საფლავებს...
ყვავილები დგება ბორცვებად,
და მოდის წვიმა მუხლის კანკალით,
დედამიწის ჭრილობების
 შესახორცვებად.

1971



აწყურუმი

გზებითა და ბილიკებით
გათოკილი,
გაბაწრული,
ვით არსენა, ისე მოჩანს –
მტკვირსპირ მდგარი
მთა აწყურის.

1971



ორი ტბა

ტობა ვარჩხილი და რიწა,
ორი ტბა,
ვით ორი თვალი,
და ისე, ვით მეგრელს ცხენი,
„ლექეთიდან ნაპარაუი“,
ჟინ ანთარს* ცა დაუდაღავს,
მოვერცხლილი მთვარის ნალით.

1968

* ჟინ ანთარი (მეგრ.) – ზედა ღმერთი (ი. ყიფშიძე)



* * *

სანაპიროს ნისლი ფარავს
და შორიდან მაინც მოჩანს:
მთა – ქოფაკად,
ბორცვი – ლეკვად.
ზღვა – სარქალად,
ქარის ხმაზე
ზვირთთა ფარას,
ნაპირისკენ რომ მორეკავს.

1987



* * *

(ვარიანტი)

ვაუამ!

მოდგმა ხარ ჰელიოსის
და ხარ მზის შვილი,
სამშობლოს მთები გიდგას
ტინებად,
მაინც სიცოცხლის შენ გკლავს
შიმშილი,
მზეებს იმიტომ ეპოტინები.



კიბელა

პონტოს პირას,
ფაზისთან,
მძვინვარ ათასწლეულებს,
ისევ ჯისე მიბელავ,
კიბიტ იდუმალების –
მადლა, ჩუმად ასულო,
კოლხთა დედავ! –
კიბელავ!*
ცის და მიწის ასულო.

1974

* კიბელა – ურანოსის (ცის) და გეას (მიწის) ასული.



შემოდგომის ცა

მეტეორები გარბიან სადღაც
და ვარსკვლავებსაც არ უნდა
მოცდა.

ცის სახელში ახლა მოწყენა ჰყვავის.
მთვარეც გახდა და
დაყარა ხორცი
და დარჩა მარტო ძვალი და ტყავი.

1964



* * *

ბობოქარ ზღვაში ცხოვრების
 მიაფრენს აფრა სიმღერის,
ახლოა მისთვის შორეთი,
სხვა არაფერი,
 სიბერე,
ყოფილა მტერი პოეტის.

2020



* * *

არც ხეოფსი ჩანს

და არც ხეფრენი,

წუხს ცად ასული მათი დიდება.

არ ვიცი რატომ,

გაიღევებს ხსოვნა რამზესის.

და კედლებიდან –

დიდ ღუმელში პირამიდების,

კოლხ ოსტატების ტკბილი

ხმა მესმის.

1973



* * *

ციდან ნამად ჩამოსული,
უკვდავების გზით მიმყავხარ,
მხარი რომ დაგიმშვენო.
რა ვქნა!
ისე მიყვარხარ,
ვერ მოგკვლები უშენოდ.

1984



* * *

ზღვიდან ამოსულები,
დრუბლები,
ვით ნისლები,
ქარმა სად არ არწია...
სინათლის რძით იესება –
მთვარის თეთრი კვაწია.*

1964

* კვანია – ქოთანი, დურკი, ტაგანი.



* * *

სივრცის თონიდან ამოფრენილი,
ხელში გიჭირავს მთვარის
ხმიადი
და ჭვრეტ მთიებით მთებს
მოქროვილს,
შენს მარადიულ ცის სიდიადეს –
მზის და სიშორის ადევს
ბოქლომი.

1972



* * *

ქათქათა, როგორც თოვლის ფანტელი,
მოგელის ორი პატარა ბორცვი.

და შენს დათვივით
ბანჯგვლიან გულ-მკერდს –
იმ ორი ბორცვის პატრონი კოცნის
და სიყვარულის საკმეველს
უკმევს.

1986



* * *

ციდან მტრედებად ჩამოფრენილი –
ჩემი დღეები ასე

ივლიან...

მე კი მგონია,

აქ ჩემი ხნის ქვა არ გდია

არსად,

არც კენჭი.

ორმოცდაათი დღეს მიიღია,

რაც ცას შეეფურებ

ვარსკვლავებით კბილებდაკრეჭილს.

1991



* * *

დამენათევი და დამაშვრალი

მზე მიიცვალა

გულისფრიალით

და დღეს შეეტყო უკვე მატება.

შიშის თვალები

ააბრიალეს

ძაკას შუკაში მწუხრის კატებმა.

1984



* * *

ერთ წვეთ კონასაც ვეღარ
იმეტებს,

ზოგჯერ იქცევა ჯიქად.
სახეზე რისხვას

აღარ იცილებს,
შენ კი გწყურია და შესციცინებ,
ვითარცა გრაფინს –
ჭიქა.

1978



ოსეზ პირამიდები

სამყაროს ასე რომ ამშვენებენ
და უკვდავებას რომ
გპირდებიან:
ხუთიათასი წლის წინანდელი –
კოლხი ოსტატების
ნაშენები –
პირამიდებია.

1984



✽

* * *

ღამის დაფაზე უცებ,
ელვამ გააგლო ხაზი,
კამკამა, როგორც წყარო.
მთვარე კიდია ცაზე
ბუდედ სამთოხის ჩიტის,
რომელიც ნათელს გალობს.

1969



* * *

ცხოვრების ზღვა ბობოქრობს...

ხოფებს უსვამს

ბაიდას,

ვითარცა სხვა –

მრავალი:

მოსული არსაიდან,

და არსად მიმავალი.

1959



* * *

ყურს აღარ უგდებს კატების
კნაეილს!

ჯინაზე მტრების და
უზნეობის,

შენი „კოლხური ფსალმუნების“
პატარა ნავით,

გსურს გადალახო მღვრიე ჯეონი
და...

სამოთხეში ამოჰყო
თავი.

1976



* * *

ჩვენს სულებს ცაში მიელის
იგი...

და მათ მოლოდინში,
გალობს ვარსკვლავთა ქორო.
სიცოცხლეს –
დიდი ბოდიში,
ჩვენ სიკვდილისთვის ვცხოვრობთ.

2004



* * *

გამოჩნდება მხედარი,* –
ცაზე კაბადოკიის,
რომელიც სპას
წინ უძღვის
და მტრის შესამუსრაად –
დიდგორისკენ მოკივის.

1989

* დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის გადმოცემით. დიდგორის ომში დავითის მხედრობას წინ წმინდა გიორგი მიუძღოდა.



ნიცუე

ეჰ,

რაც ქრისტიანებმა,
ანტიქრისტე ნიცუეს რომ,
უძახეს და უსტვინეს!!!
მაინც ვერ შეაყვარეს –
პავლე მოციქული და
ნეტარი ავგუსტინე.

1969



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ5

ცა ზღაპრული არის ქვევრი.....25

*** (თვით უფალმა განუმწესა)26

მთვარე – ხარია.....27

მითრიდატე მეექვსე ევპატორი.....28

*** (მოქათქათე აფრები კი...)29

*** (გელოდება ვაჟას მთები).....30

გემებსა და მარინისტებს.....31

აბენეს და იოდოსაფს.....32

ღვრინი.....33

*** (შავად დაზვინულ ღრუბლების).....34

ნიკო დადიანი.....35

*** (იქ – ზღაპარში ვხედავა ვეშაპის)....36

მზე და მთვარე სარკმლებია.....37

*** (ბრძენს უგდე ყური).....38

*** (მთვარის მიღეულ სასაფლაოზე).....39

*** (ფოთოლცკენის ხმა...).....40

*** (ეს მისი ხმა არის).....41

*** (უფლის ანგელოზებმა).....42

აკაციის ყვავილიდან მიმზერს.....43

მარადი წყარო.....44

არც ქიზიყი ჩანს, არც ბოდბე.....45

*** (ვარ მუხლმოყრილი მლოცველი)46

*** (ვინც ეწამა მამისათვის).....47

*** (ათასწლეულმა მეორემ).....48

*** (ვითარცა შამპოლიონი).....49

*** (შური, მგრობა, სიძულვილი...).....50

ცაში შობილს უშობელად.....51

დიონისე არეოპაგელს.....52

სამოთხეთა სამოთხე.....53

*** (სიკვდილის მერეც გრძელდება).....54

*** (ჩემს სიგრძე სანთელს ვუნთებ).....55

*** (მარადიულ მზით მოსილი).....56

*** (მეხი ისევ დაროხროხებს).....57

ცხრა მხესა და ცხრა მთვარეს.....58

*** (ქვეყნად ღმერთი ერთი არის).....59

*** (შელამება ზღვას და ღელვას).....60

აღბათ, ესეც ღმერთს ენება.....61

*** (იელვა...).....62

წყლის მაგიერ გასვეს.....63

გაახილა კვირტმა თვალი.....64

*** (ზვირთმა კი არა...).....65

„ამაღლება“, „იქმენ ნათელი!“.....66

*** (წამიც და ზვავები...).....67

*** (რადგანაც ცაში ბინადრობს).....68

*** (ზარების რეკვა მთიების).....	69
*** (ვარიანტი).....	70
*** (ისევ ვჭკვრეტ...).....	71
მალხები.....	72
*** (ცაში ელავენ...).....	73
*** (ბალახებში დაგოვმანებს).....	74
ვისი გორის ხარ.....	75
*** (შოთა, ვაჟა, აკაკი...).....	76
*** (ვითარც ადრე).....	77
*** (ცის ლაჟვარდამდე ამაღლებული)....	78
*** (მთიებით მჭიდროდ დასახლებული).....	79
*** (როს გავხედავ ქართველის წარსულს).....	80
*** (როცა...).....	81
*** (საუკუნეზე მეტი გასულა).....	82
*** (ავი დედინაცვალივით).....	83
*** (შენც მითრიდატე პონტოელივით)..	84
*** (სიცოცხლე თუ იყო ღოცვა).....	85
*** (პრომეთემ ზევსს რომ წარსტაცა ცეცხლი).....	86
*** (მწვერვალები თუ დალაშქრე).....	87
ბნელი ღამე ზღვაზე.....	88

*** (მე ვიხილე მახათასთან).....	89
*** (ათასწლეულებს გადაუთელავთ).....	90
*** (გაუხსნია ცას საყელო).....	91
*** (დაწერილი ღვთის კარნახით).....	92
მირაბოს ხიდი.....	93
*** (წამიერი ნათებისთვის).....	94
ზღვა – დედაა მგლოვიარე.....	95
*** (ისე ვითარცა ალფრედ მიუსეს).....	96
აია და აგუნა.....	97
*** (უფალს შევთხოვ).....	98
კოლხა-კილხა მაკრონი.....	99
ქართული მწერლობა.....	100
*** (სივრცეს ბინდად ეფინება).....	101
*** (შეგვიწყალებს უფალი და...).....	102
პარიზში.....	103
*** (ააუღერებენ ჩანგს მგოსანნი).....	104
სპეროზა.....	105
ლევილში.....	106
შატრის ტაძარი.....	107
ვითა ეზიკიელი.....	108
ნეტავ ელვას რა აცეკვებს.....	109
მცხეთასთან და ნარეკვათან.....	110
*** (ვით ყრმა იესოს, მთიები).....	111

*** (ეს...)	112
აია, ბაია, თანაფა	113
წმინდა მამები	114
*** (სამყარო – ღვთის ჰამაკი)	115
*** (ზღვის ქვესკნელიდან ამოსულები)	116
*** (მიღეულ მთვარეს დედაბერივით)	117
მზე-ღმერთმა ყოველის	118
*** (გემებს მოსდევნდნენ აღბატროსები)	119
*** (თუთაშხა...)	120
*** (დაფროხება და უცებ ელვა)	121
მუხათგვერდთან	122
*** (ნეტართა სამკვიდრებელი)	123
ფუტკარი	124
*** (მამლის ყივილზე აისი)	125
*** (ხშირად სდევს სიშორის ბილიკებს)	126
გადიგრიალებს ქუხილი	127
*** (დასარწყლულებლად ზღვად ჩამავალი)	128
*** (ასე არის ღვთის ნება)	129
*** (ჩვენი მოშურნე და მაწყევარი)	130
*** (სფინქსის თვალებში ჩანისლულ)	131
ყორანი	132

*** (ციდან მთიების მკრეფელთა).....	133
გერეცა და უაკარი.....	134
*** (ვითარც აბრეშუმის ჭიამ).....	135
*** (ვითა გრძელი დღე-ღამე).....	136
*** (ამდენ დიდ-დიდ ვარსკვლავებში).....	137
ზღვაო, გრიგალის მშობელო.....	138
სიტყვის ხე.....	139
მზე ჭაბუკს და მზეთამზეს.....	140
*** (კაცთა ტანჯვა-წამებად).....	141
კოლხებსა და ოდიშარებს.....	142
ცაში მაცხოვრის ჰყვავის ბაღები.....	143
*** (ჯიქთა მოდგმის ხარ).....	144
*** (უამთა სრბოლამ ვერ დააზრო).....	145
*** (წყვლიადს).....	146
*** (ცოდვის მონანიებად).....	147
*** (მზე ცისკრიდან...).....	148
*** (ნარბენი ცის უდაბნოში).....	149
*** (ქარი უცებ გაიღვიძებს).....	150
*** (მეცხრე ციდან ჩამოსული).....	151
*** (გადაუფრენს ათასწლეულებს).....	152
*** (მთიებს – უფლის ანგელოზებს).....	153
საწუთრო.....	154
*** (ქარიშხალმა საჯირითოდ).....	155

თურქეთის საქართველოში.....	156
ეს ჩვევად ჰქონდათ წარმართებს.....	157
*** (თეთრი დღეების მდინარეები).....	158
ჩვენი ცხოვრება	159
გადარეული სიყვარული.....	160
*** (მზის წყვილიაღით მოსილი).....	161
*** (გარსკვლავებით ნათესი).....	162
*** (არ ჩანან ჰაერთა მცველნი).....	163
*** (გაზაფხულის ბაღებიდან).....	164
*** (თუ მზეთამზემ დღე მოგვცა).....	165
კიბევ ცათამდე მიდგმულო	166
*** (ჯერ ჩემს მზეს და სინათლეს).....	167
*** (ცნობადის ხის ტოტებიდან).....	168
*** (მეუფობს მღუმარ სანაპიროზე).....	169
*** (მთვარე მზეთუნახავივით).....	170
*** (მათ...).....	171
*** (იქ...)	172
*** (ვით ღმერთკაცი ამირანი).....	173
კოლხი	174
კვირტი.....	175
*** (სანთელს ვუკმევ დიონისეს).....	176
*** (წარმართული ბილიკებით).....	177
*** (გარსკვლავებით მორწყული).....	178

მილეთს დევნი განაგებდნენ.....	179
*** (მესთა-ტეხით დღეებმა).....	180
*** (მხოლოდ ზღვამ იცის).....	181
*** (მზე).....	182
*** (მიწაზე არა).....	183
*** (ახლა ზღვა დელავს).....	184
*** (პონტოს სანაპიროზე).....	185
*** (მარადისობას მიველტვიტ).....	186
*** (სადღაც ნახე გაკრთება).....	187
*** (ღამის სიშორე რეკავს...).....	188
ჰებე, ჰერა და ათენა.....	189
უფლის ნაკარნახევი.....	190
ჩემი წყარო.....	191
*** (აღბათ წმინდა გიორგი).....	192
*** (მთვარეს).....	193
გვრიტი.....	194
*** (ცას ღრუბლების დეკები).....	195
მტილი.....	196
მსხლის ხე პონტოს სანაპიროზე.....	197
*** (ნიადაგ მაღლა მეწვევა).....	198
ღამე – ბაყბაყ დეგია.....	199
რწმენის ხე.....	200
თეთრი თულუნი.....	201

*** (სადღაც ძაღლი...)	202
*** (უხილავო და ხუელულო)	203
*** (რა დღეს...)	204
ჩვენ კოლხები – იბერები	205
ბიბლიიდან	206
ნათლის საჭურველი	207
*** (ზღაპრებიდან მოისმის ხმები)	208
*** (ქარი დრუბლებს)	209
*** (ზეცის ღურჯი ტაძარი)	210
*** (სხვები სანთლებს უნთებენ)	211
*** (ცად გეწევა ბრაჰმაც და ნირვანა)	212
*** (იგი არის)	213
გურიაში	214
*** (მთიდან ჩუმად ჩამოტანილს)	215
*** (კოლხთა დიდი ისტორია)	216
წვიმა	217
აწყურში	218
ორი ტბა	219
*** (სანაპიროს ნისლი ფარავს)	220
*** (გარიანტი)	221
*** (ურჯულთა ნაშიერნი)	222
კიბელა	223
შემოდგომის ცა	224

*** (ბობოქარ ზღვაში ცხოვრების).....225

*** (არც ხეოფსი ჩანს...).....226

*** (ციდან ნამად ჩამოსული).....227

*** (ზღვიდან ამოსულები).....228

*** (სივრცის თონიდან ამოფრენილი).....229

*** (ქათქათა, როგორც თოვლის
ფანტელი).....230

*** (ციდან მტრედებად ჩამოფრენილი)...231

*** (ღამენათევი და დამაშვრალი).....232

*** (ერთ წვეთ კოცნასაც...).....233

ისევ პირამიდები.....234

*** (ღამის დაფაზე უცებ).....235

*** (ცხოვრების ზღვა ბობოქრობს).....236

*** (ყურს აღარ უგდებს კატის
კნავილს).....237

*** (ჩვენს სულს ცაში მიელის).....238

*** (გამოჩნდება მხედარი).....239

ნიცშე.....240

2020.08.01

"საერთაშორისო მკვლევარების" 100-დღეობის
პროგრამის, საქართველოს მეცნიერების, განვითარების
და ინოვაციების სამსახურის, საქართველოს მეცნიერების
და ინოვაციების სამსახურის და საქართველოს მეცნიერების
და ინოვაციების სამსახურის "საერთაშორისო მკვლევარების"
პროგრამის, საქართველოს მეცნიერების, განვითარების
და ინოვაციების სამსახურის, საქართველოს მეცნიერების
და ინოვაციების სამსახურის და საქართველოს მეცნიერების
და ინოვაციების სამსახურის 100-დღეობის
პროგრამის და საქართველოს მეცნიერების, განვითარების
და ინოვაციების სამსახურის.

საერთაშორისო მკვლევარების
2020.08.01



ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 81

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 81

გამომცემლობის

რედაქტორი

– დავით ყანდაშვილი

მხატვარი

– სპარტაკ ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი

– ირაკლი უშვერიძე

ტექნიკური რედაქტორი

– ნანა ღუმბაძე

კორექტორი

– ნატო დოღბაია

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – რინე ბერიძე

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიძის ქ. №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com